საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 917/01
05/02/2021

917-01-2-202102051044

შპს „აგროინვესტს“
მის: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას 83/11
ელ. ფოსტა: Zezva67@gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 28 იანვრის N961 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. ხაიშის მიმდებარედ სამელიორაციო სისტემის (194 ჰა ფართობის ტერიტორიისთვის) მოწყობასა და ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ შპს „აგროინვესტი“ ფლობს 194 ჰა მიწის ფართობს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის, სოფ. ხაიშის მიმდებარედ. აღნიშნული ფართობიდან 121 ჰა ტერიტორია არ ირწყვება, ხოლო დანარჩენი 73 ჰა ირწყვება ალგეთის წყალსაცავიდან, არსებული სამელიორაციო სისტემის საშუალებით. დაზუსტებას საჭიროებს როდის იქნა მოწყობილი აღნიშნული სამელიორაციო სისტემა ან/და შპს „აგროინვესტი“ ფლობს თუ არა ალგეთის წყალსაცავიდან 73 ჰა ფართობის ტერიტორიის მორწყვის მიზნით არსებული სამელიორაციო სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის გადაწყვეტილებას;
- სკრინინგის განცხადებაზე თანდართული შეიფ ფაილებით მოცემულია მხოლოდ საპროექტო რეზერვუარის განთავსების ტერიტორია და რეზერვუარის მდ. ხრამთან მიერთების ტრასა (1.8 კმ მილსადენი). შესაბამისად, შპს ,,აგროინვესტის” საკუთრებაში არსებული 194 ჰა ფართობის მქონე ტერიტორიის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნას მოსარწყავი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი ან/და ტერიტორიის GIS შეიფ ფაილები;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი რეზერვუარის განთავსების GPS კოორდინატები და შეიფ ფაილით წარმოდგენილი რეზერვუარის განთავსების

ტერიტორია არ ემთხვევა ერთმანეთს, შესაბამისად აღნიშნული საჭიროებს რედაქტირებას;

- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო რეზერვუარი დაერთებული იქნება მდინარე ხრამთან დაახლოებით 1.8 კმ სიგრძის მილსადენით, მილსადენის საწყისი მონაკვეთი მიუყვება საძოვარ ტერიტორიებს, ხოლო მილსადენის ტრასა დაახლოებით 75 მ სიგრძეზე, კვეთს სატყეო ფონდის მიწებს (თუმცა აღნიშნულ ტერიტორიაზე წარმოდგენილია მხოლოდ ბუჩქნარი მცენარეულობა). სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია იმის შესახებ კვეთს თუ არა მილსადენის ტრასა კერძო საკუთრებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას კერძო მესაკუთრესთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ამასთან სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნას სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სკრინინგის განცხადებაში (გვ. 5) აღნიშნულია, რომ საპროექტო რეზერვუარის შევსების წყარო ძირითადად იქნება საქართველოს მელიორაციის მიერ, ალგეთის წყალსაცავიდან მოწოდებული სარწყავი წყალი, რაც საკმარისი არ არის ტერიტორიის შეუფერხებლად მორწყვისთვის. დეფიციტის პერიოდში გამოყენებული იქნება განსახილველი სამელიორაციო სისტემის მეშვეობით მდ. ხრამიდან ამოტუმბული წყალი. ამასთან აღნიშნულია (გვ 2), რომ შპს „აგროინვესტის“ საკუთრებაში არსებული ფართობის 73 ჰა ირწყვება, საქართველოს მელიორაციის ალგეთის წყალსაცავიდან, თუმცა მდ. ალგეთის მცირე დებეტის გამო მელიორაციის მხრიდან საჭირო პერიოდში წყალი მოგვეწოდება დიდი შეფერხებით. **საპროექტო სამელიორაციო სისტემის მიზანია შევავსოთ სარწყავი წყლის დანაკლისი, ალგეთის წყალსაცავიდან შეფერხებით წყლის მოწოდებისას და აგრეთვე სრულად გავასარწყაოთ 121 ჰა ტერიტორია,** რომელიც ამჟამად საერთოდ არ ირწყვება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს ,,აგროინვესტის" საკუთრებაში არსებული 194 ჰა მიწის ნაკვეთის მორწყვისთვის ძირითადად გამოყენებული იქნება მდ. ხრამის წყალი, შესაბამისად ზემოაღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს რედაქტირებას;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია მდინარე ხრამზე არსებული წყალმომხმარებლების შესახებ; ამასთან წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ:
- სკრინინგის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია წყალაღების კვეთში მდინარე ხრამის ჰიდროლოგიური პარამეტრების შესახებ, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია წლის განმავლობაში რწყვის ჯერადობის შესახებ (გრაფიკი), ასევე მდინარე ხრამიდან წყლის ამოღების გეგმა-გრაფიკი. აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას;

გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ,

რაც შპს „აგროინვესტი“ უზრუნველყოფს განახლებული სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენას, ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე